




ხაშურის მთაძვე



№2 (83) 16 იანვარი, ორშაბათი, 2017 წელი



19 იანვარს ნათლისღება - გილოცავთ!

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევა მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმენდას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმენდილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას, სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით, ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? - უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიბრტქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შედევვისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება - ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.



წუხელის ბიჭი დაბადებულა...

მეკვლე მოსულააა - ჩვენი ქალაქის და სრულიად მუნიციპალიტეტის მეკვლე! ვერე ნუ უყურებთ, დაიდალა ამხელა გზაზე და წამოწვა საწოლზე. დაიღლებოდა, ღმერთმანი! ამდენი ადამიანის ოცნებების ასრულება მოუტანია, ნატურის ასდენა უზიღია, ხვაისა და ბარაქის რეალობად ქცევა პატარა მხრებით უტვირთავს და მერე ჩვენი ოჯახების კარებთან დაუხვავებია, ტრადიციული, ძველი, თბილი და ბევრისმოქმედი სიტყვებიც უთქვამს: ახალ წელს გილოცავთ, ფეხი ჩემი, კვალი ამგელისას... მერე კი გადადგინდა და დამაშვრალს ჩასძინებია და მთელი ღამე მხოლოდ იმ ანგელოზებს უდიმოდა, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ მის ასაკში ხედავენ ადამისა და ევას შთამომავლები.

მეკვლის მოსვლით გამოწვეულმა სიხარულმა თავგზა აგვიბნია და ძირითადი სათქმელი ღამის გონებიდან ამოგვივარდა - მეკვლე არ გაგვიცნია თქვენთვის... ანდრია გომარელია ეს მაგარი კაცი. 1 იანვარს, ხაშურის სამ-შობიაროში, გამთენიისას მოველინა ქვეყანას და მაშინ უთქვამს ის სიტყვები, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

გიორგი გომარელია და თამარ გოგალაძის ოჯახში ეს პირველი შვილია. ღმერთმა ამრავლოს მათი ოჯახი! ჩვენ კი დავლოცოთ და ბუთხუზა ბიჭი, ჩვენი მეკვლე, და მასთან ერთად მთელს მუნიციპალიტეტს, მთელ ქვეყანას კიდევ ერთხელ ვუთხრათ: ბედნიერი და იმედების ასრულების წელი ყოფილიყოს ყველასათვის!

სახალწლოდ მიღებული შოკი ანუ მანიაკი თოვლის ბაბუები აქლდნენ ჩვენს ქვეყანას?

ნებისმიერი ახალი წელი, ისევე როგორც ქართული ოჯახების აბსოლიტურ უმრავლესობაში, ჩემს ოჯახშიც ერთგვარი რიტუალია - ღიმილით, კეთილი საქმეებით, მოფერებით, სურვილების ახდენის ოცნებით და ათასგვარი საჩუქრებით დახუნ-

ძღული. პატარებისათვის კი ეს განუმეორებელი დღესასწაულია, რომელიც თავისი ფერადოვნებით არცერთ სხვა დღეს არ ჰგავს. არც წლევედელი ახალი წელი ყოფილა გამონაკლისი და მთელი ოჯახი, დიდპატარიანად, შევეგებეთ მის მობრძანებას - იყო მხიარულება, მამა-პაპური სადღეგრძელოები და ბავშვების სიხარულით მიღებული სიხარული. აი, მეორე დღეს კი მივიღე „შოკი“ და აგერ, ორი კვირა გავიდა, ამ მძიმე სტრესისგან ვერ გავთავისუფლდი. ღამის გადავირთე ეს დროული კაცი და გულში დაგროვილ ამ ვარამს ველარაფერს ვუხერხებ. ეგებ ამ სახალხოდ თქმულმა ოდნავ შედავათი მომცეს, თუმცა, ვეჭვობ, ამანაც რამე მიშველოს.

ჩემდაჭირად, 1 იანვარს, შუადღისას, ამ საერ-

თო ოჯახური მხიარულების ფონზე, კომპიუტერს მივუჯექი, სოციალურ ქსელებში დავიწვეე ბოდილი და უცებ მონიტორზე „ამომივარდა“ წარწერა: „სახალწლო კლიპი“. განწყობის ასამაღლებლად, მეც უფრო კარგად მოვკალათდი სავარძელში და ჩავრთე კლიპი. ყველაზე უბედურება ისაა, რომ შვილიშვილიც გვერდით მოვისვი, შოკოლადებითა და გოზინაყით მოზუნუნული სახე ეკრანისკენ მივატრიალებინე და კლიპშიც ჩავერთეთ. აი, აქ დაიწყო, რაც დაიწყო. ვისაც არ უნახავს ეს კლიპი, არ მინდა, რომ დაგზაფრო მთელი სიუჟეტით და მოკლედ „წავაშინარსებ“ ამ უბედურებას. ოთახში, ნაძვის ხესთან მისულ სანტას, ქართველი თოვლის ბაბუა

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ჩინილაკის წვერით კლავს, მერე აბახანაში აგდებს და მუკავს ასხამს, რომ საბოლოოდ წაშალოს მისი არსებობა. მეც, ჩემდა საუბედუროდ, ბოლომდე ვუყურე ამ მანიაკობას, რადგან მჯეროდა, რეჟისორი მთლად არ გაგვიწირავდა და ბოლო ტრადიციული „პეფი ენდით“ დასრულდებოდა. თქვენც არ მომიკვდეთ! ამ პათოლოგიამ თოვლის ბაბუამ ბოლომდე დაასრულა თავისი შავ-ბნელი საქმე და ისე „დააკისლატა“ სანტა, წარბიც არ შეჰხრია. თვალებს არ ვუჯერებდი, რაც ვნახე. ისეთი ემოციური სტრესი მივიღე, აბლაგლებული შვილიშვილი კი არა, ჩემი გაჩერებული გულისათვის რა მექნა, ვეღარ ვხვდებოდი. ვინც კი მიცნობს, ყველამ იცის,

საახალწლოდ მიღებული შოკი ანუ მანიაკი თოვლის ბაბუები ახლდნენ ჩვენს ქვეყანას?

რომ „არაფიგურაღური“ სიტყვები ჩემთვის უცხოა, მაგრამ ჭკუაზე გადასულ კაცს რამე მოეკითხება? კლიპის რეჟისორიც, დამკვეთი სტუდიაც („wew studio“), საიტის რედაქტორიც ჩავრთე „საქმეში“ და ყველა „მოვიკითხე“... მაინც ვერ დავწინარდი. იქით შვილიშვილი მყავს მოსასულიერებელი. მთელი დღე იმის ვუმტკიცებდით, რომ ქართველი თოვლის ბაბუა არ არის ბოროტი და რომ სანტა არ მომკვდარა.

იდეები. იქ ნამდვილად მოგისმენენ და გაგიგებენ. შენ წარმოდგენაც არ გაქვს, რომ ათასობით ჩემნაირს მკვლელი თოვლის ბაბუის ჩვენებით თვითონ თოვლის ბაბუა მოუკალი, რომელიც ჩვენი ბავშვობის ნათელი წერტილია დღესაც და ვინმე, ჩვენი ბავშვობის, ამ ულამაზესი ზღაპრის, მოკვლაც გინდოდა.



აგერ, ორი კვირა გავიდა და დღემდე ვერ გამიგია, რა იყო ეს? ვისთვის იყო განკუთვნილი და ქართველების რა კატეგორიამ უნდა უყუროს ამას? რეჟისორმა, ვინმე დავით ჯიბლაძემ, ასე დაგვმოდგრა: „ეს არის ახალი წლის მილოცვა „ნიუ სტუდიოსგან“. ეს მოყოლილი ისტორიაა, სხვანაირი კუთხით დანახული, რომელიც ხალხმა არასწორად გაიგო. ძალიან მიყვარს. მე ვარ ამერიკაში გაზრდილი ქართველი და აქ ჩამოვედი, როგორც რეჟისორი... საერთოდ არ ჩამოსულიყავი, შე... (მკითხველო, რა სიტყვაც გსურს ის ჩასვი ამ გამოტოვებულ ადგილას). რას გვერწოდი? თუ შენ შენი ფრენია იდეები გაწუხებს, დასვი შენი ოჯახი და აყურებინე შენი „მედვერები“ რამდენიც გინდა. წარმოდგენაც არ გაქვს, რა გააკეთე! ხალხმა არასწორად გაიგო... მაინც, როგორ უნდა გაგვეგო, როგორ უნდა აღგვექვა ეს რიტუალური მკვლევლობა? ან თოვლის ბაბუა რა შუაშია? აშკარად შენ გაქვს მანიაკალური გადახრები და აქ თუ ვერ მია



ეს „მისისიპდალეულები“ საქართველოში საკმაოდ მრავლად და ვაი, ჩვენს თავს თუ თუნდაც მათ მეხუთედს ასეთივე „კრეატიული“ იდეები აწუხებს. და თუ აწუხებს, ვიდუპებით მგონი და ვერ გაგვიგია.

გოგი გოგოლაძე,

დღემდე თბილი, ტკბილი და კეთილი თოვლის ბაბუის მოყვარული

სამშობლო ღმერთზე მადლა დგას

ეს თეზა დღესაც ისეთივე ცხარე კამათს იწვევს, როგორც შუა საუკუნეებში (მაკიაველის დროს) ან ახალ ეპოქაში – XIX-XX საუკუნეებში. იხილავდა რა ნიკოლო მაკიაველის მიმართებას თავისი დაქუცმაცებული სამშობლოსადმი, (რომელიც აღმერთებდა მას), ფრანჩესკო დე სანკტისი წერდა, რომ ნიკოლო მაკიაველისათვის ღმერთი მიწაზე ჩამოვიდა და სამშობლო დაერქვა. სწორედ სამშობლოსთან მიმართებაში წამოაყენა მაკიაველმა თავისი ცნობილი თეზა – მიზანი ამართლებს საშუალებას, რომ თუ სამშობლოს სჭირდება, შეიძლება გადაუხვიო ქრისტეს მცნებებს – მოკლა კიდევ, მოიტყუო კიდევ, მოიტყუო ამორალურად და ა.შ. ამადაც წერდა მაკიაველი, რომ „ძვირფასია მშობლები, შვილები, ახლობლები და მეგობრები, მაგრამ სამშობლოა ერთადერთი, რომლის გულისთვის ესენი ყველა შეიძლება დაუფიქრებლად გაწირო“.

დღესაც ქართველთა მეთერთმეტე მცნებად მიხნეულია რაფიელ ერისთავის ბრწყინვალე თეზა „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“, რომელმაც ტოლოზის ნიშანი დასვა უფალსა და სამშობლოს შორის. ქართველების შეგნებული ნაწილი ქრისტიანობამდეც აღმერთებდა სამშობლოს და აღმერთებს დღესაც.

ლოგიკურად, თუ ღმერთმა შექმნა სამყარო, სამშობლოც მან შეგვიქმნა და ქართველობაც მან განსახლვრა ისეთად, როგორებიც დღემდე ვართ. მას არავინ უარყოფს, მაგრამ ორჯერ ორი ყოველთვის არ არის ოთხი: არის მომენტები, როცა სამშობლო ღმერთზე მადლა დგას.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამშობლო და მისი ეროვნული ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსული, ამერიკული თუ ევროპული (საეჭვო) ღირებულებები.

ქართველ პოლიტიკოსთა პანთეონისათვის

ეს საკითხი არაერთხელ დასმულა, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ჩვენი აზრით არ შეიძლება პოლიტიკოსებს მთაწმინდის და დიდუბის პანთეონში კრძალავდნენ (მერაბ კოსტავაზე და ზვიად გამსახურდიაზე გამონაკლისი იქნა დაშვებული იმიტომ, რომ მათი მთავარი დეაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერობა იყო და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის). ჯობია ისინი სხვაგან დაიკრძალონ თავიანთი დამსახურების მიხედვით. ასეთ ადგილად მიმანია კრწანისის რეზიდენცია, სადაც დასაფლავებულია ედუარდ შევარდნაძე.

შევარდნაძემ, თავისი შეცდომებისა და ცოდვების მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში და შეიძლება მისი იქ განსვენება, სადაცაა დაკრძალული. თუ საზოგადოება გამოხატავს დადებით განწყობას, იქ შეიძლება გადასვენებული იქნას ზურაბ ჟვანიაც (ექსპრემიერის შემდეგ, რომელსაც აპირებენ შინაურები და გამოძიებლები).

მომავალში აქვე დაიკრძალვიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ქვეყნის გაერთიანებაში. ასეთი ვერ იქნება ყველა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, არამედ მხოლოდ რჩეულნი (იგივე ეხება პარტიის ლიდერებსაც).

ბრძოლა დემოკრატიული კონსტიტუციისათვის

მომავალში ძნელად თუ დადგება ისეთი მომენტი, როცა რომელიმე პარტიამ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება შეძლოს საქართველოს პარლამენტში. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მართებს აუნქარებლად, გონივრულად, საყოველთაო ჩართულობით დაიწყოს მზადება კონსტიტუციაში აუცილებელი ცვლილებების განსახორციელებლად.

პირველი, რაც უნდა დადგინდეს, ესაა პარლამენტის ადგილსამყოფელი. წინა პარლამენტის ნაკლებ ეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი იყო საპარლამენტო მუშაობის წარმართვა ორ ქალაქში: ქუთაისსა და თბილისში. ეს არამართო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, არამედ ხელოვნურად გართულებულიც – 150 პარლამენტარის და პარლამენტში მომუშავე 700 ადამიანის აქეთ-იქით სირბილით.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პარლამენტი თბილისში, დედაქალაქში უნდა მუშაობდეს (ასეა მთელ მსოფლიოში). ამით შემცირდება შენახვის ხარჯებიც და გაიზრდება ეფექტურობაც (პარლამენტის ყოფილ შენობაში შეიძლება განთავსდეს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და ერთი სასწავლო კორპუსი).

მეორე და მნიშვნელოვანი, რაც უნდა შეიცვალოს, დეპუტატების და თანამდებობის პირების ასაკობრივი ზღვარია. არ შეიძლება პარლამენტში იჯდეს და ქვეყნის ბედი გადაწყვიტოს 21 წლის უმწიფარმა ახალგაზრდამ, რაც უნდა ნიჭიერი იყოს იგი. თუ პრეზიდენტი 35 წლის მაინც უნდა იყოს, ამავე ასაკის უნდა იყვნენ მინისტრებიც და დეპუტატებიც (ყოველ შემთხვევაში 30 წლის მაინც პარლამენტარები და 25 წლის ადგილობრივი დეპუტატები) იგივე შეიძლება ითქვას მოსამართლეებზე, რომლებიც წყვეტენ ადამიანის ბედს და უნდა ჰქონდეთ ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა.

თუ გადავხედავთ ჩვენი მეგობარი ქვეყნების გამოცდილებას, არსად თანამდებობებზე 35 წელზე ახალგაზრდა ასაკის ადამიანებს არ ნიშნავენ - არც აშშ-ში, არც გერმანია-საფრანგეთში, არც იაპონიაში (ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი აქ 53 წლის იყო). რომის სენატში კი არ ირჩევენ 60 წელზე ნაკლები ხნის ხალხს, იმიტომ რომ თანამდებობაზე ყოფნის დროს მთავარია არა მარტო ცოდნა, არამედ მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ასაკს მოაქვს. ამიტომ სასურველია ვიტრიალოთ 35-70 წლის ასაკს შორის. 70 წლის ასაკის მერე ადამიანს არ უნდა ჰქონდეს თანამდებობის დაკავების უფლება პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტში, სასამართლოში, ადგილობრივ ხელისუფლებაში, ის არ უნდა იქნას არჩეული არც პრეზიდენტად.

თუ საზოგადოება გადაწყვეტს და მომავალი საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს, მაშინ სასურველია პარლამენტის გახდეს ორპალატიანი და დღევანდელ პარლამენტს დაემატოს რესპუბლიკის საბჭოც რეგიონების უფლებების უკეთ დასაცავად. მოგიწოდებთ აქტიურად ვიმსჯელოთ სხვა არანაკლებ (თუ უფრო მნიშვნელოვან არა) საკითხებზეც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ საკითხებს მიეკუთვნება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ფინანსურად უზრუნველყოფილი ადგილობრივი, ფართო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, ასევე პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი რეალური უფლებამოსილების დადგენა.

ვაჟა შუბითიძე

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის 2016 წლის ანგარიში

ინფორმაცია გაწეული კონსულტაციების შესახებ:

ხაზურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2016 წელს გაწეული იქნა 2174 კონსულტაცია 3996 ფერმერზე და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებზე.

კონსულტაციები გაწეული გვაქვს სულ ოფისის გარეთ 432-ჯერ 2254 ფერმერზე 13 ადმინისტრაციული ერთეულის 79 სოფელში, ოფისში 1742 კონსულტაცია გაეწია 1742 ფერმერს და სატელეფონო სმს შეტყობინების ჩათვლით 258 კონსულტაცია მიიღო 258 ფერმერმა, ხოლო სოციალური ქსელის საშუალებით 1 ფერმერმა.

აქტივობები:

სამსახურის პერსონალი 2016 წელს კონსულტაციებს ვაწარმოებდით წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რომელიც გათვლილი იყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ყველა დასახლებულ პუნქტზე.

კონსულტაციები უტარდებოდათ ფერმერებს და აგრარულ სფეროში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე აგრარული საკითხებით დაინტერესებულ პირებს. შეხვედრებს ვაწვდობდით სამსახურის და იუსტიციის სამინისტროს სასოგადოებრივი ცენტრის ოფისში, ასევე ადმინისტრაციული ერთეულის ოფისში, უშუალოდ ფერმერებთან საველე პირობებში და სოფლების თავშეყრის ადგილებში.

შეხვედრისას ვითვალისწინებდით სასაუბრო თემებს მოცემულ სოფლებში გავრცელებული ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა, მოყვანის და მოსავლის დაბინავეების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებზე. კონსულტაციებისას დეტალურად ვახდენდით მსმენელებზე სამთავრობო პროექტების და პროგრამების: „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“, „აგროდაზღვევის“, „შედავათიანი აგრო-კრედიტის“, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის და სხვა პროგრამების გაცნობას.

კონსულტაციებისა და რჩევებისათვის ფართოდ ვიყენებდით თვალსაჩინოებას. სატელეფონო და სმს შეტყობინებებს, დროულად ვახდენდით მსმენელებზე და დაინტერესებულ პირებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრავალტრიაჟიანი გაზეთის „ჩვენი სოფლის“ ნომრების დარიგებას, ასევე მათ ვურიგებდით სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ბროშურებს, ბუკლეტებს და ჩვენს მიერ მომზადებულ მასალებს. შეხვედრებისას, ასევე, ვუყვანიანდ ვახდენდით კითხვა-პასუხის რეჟიმით მუშაობას. ვისმენდით მათგან ინფორმაციებს ფერმერული მეურნეობების უკეთ წარმართვის საქმეში არსებულ პრობლემებზე, რომელთა აღმოფხვრასაც, სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებში, ვახდენდით ოპერატიულად, საჭიროების შემთხვევაში საკითხს ვაყენებდით შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით და სხვა.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ გაზეთ „ხაზურის მოამბის“ რედაქციასთან, თითქმის ყოველკვირეულად ვაქვეყნებდით სტატიებს და რეპორტაჟებს, მუდმივად მოქმედებდა საგაზეთო რუბრიკა „სპეციალისტი ვეინჩევს“ და სხვა. მსგავსი თანამშრომლობა მომავალშიც გავრცელდება.

2016 წელს ხაზურის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურთან შექმნილი ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო, სადაც გაერთიანდა 13 წევრი. წევრთა შემადგენლობაში არიან მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მარცვლეულის წარმოების და ეკონომიური დარგის გამოცდილი, ავტორიტეტის სპეციალისტები. მათ შორის ერთი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და ერთი ახპირანტურა დამთავრებული.

შექმნის დღიდან ჩატარდა 4 შეხვედრა. 2016 წლის 12 აპრილს, 19 ივლისს, 27 ოქტომბერს და 15 დეკემბერს.

შეხვედრებისას განხილული იქნა მეფუტკრეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მარცვლეულის, მეცხოველეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. ასევე, მეღორაყვანის გაუმჯობესების კუთხით - ხცისის სატუმბო სადგურის აღდგენის, შიგა სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის და გრძელვადიან პერსპექტივაში „ხემო ხაზურის“ გასარწყავების სისტემის აღდგენის საკითხები. საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში არსებული შეფერხების, მოსავლის აღება-დაბინავეების და რეალიზაციის საქმეში არსებული მდგომარეობა, ფერმერთა კოოპერირების დადებითი შედეგების მომტანი ფაქტორები. სახელმწიფო პროგრამებში „დანერგე მომავალი“, აგროდაზღვევის, შედავათიანი აგროკრედიტების პირობებში დამატებების შეტანის საკითხები და სხვა. დაყენებულ საკითხებზე ინფორმირებული იყო როგორც სამინისტროს, ასევე სამმართველოს ხელმძღვანელობა.

ფერმერთა პრაქტიკული ცოდნის ამაღლების მიზნით, რამდენიმეჯერ მოვაწვეთ ბოსტნეულის, მარცვლეულის, ყურძნის, ხილის მწარმოებელი ფერმერების და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სადემონსტრაციო ფართობების დათვალიერება, რამაც ფერმერთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრმა მათგანმა მათი გამოცდილება და ტექნოლოგიები გამოიყენა და დანერგა თავიანთ ფერმერულ მეურნეობებში.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, გაცემულია 9 ცნობა 32,6 ჰექტარ ფართობზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე. აქედან უკვე გაშენდა ხილი 13 ჰექტარზე, ხოლო 19,6 ჰექტარ ფართობზე მრავალწლიანი ხილის ბაღს 2017 წლის გაზაფხულზე გააშენებენ. მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის ბენეფიციარების მიერ სასოფლო სამეურნეო მიწების მომზადება გრძელდება, რაც პროგრამის დადებითობაზე მიგვითითებს.



საქმიანი და კოლეგიალური დამოკიდებულება გვაქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლებთან. ვაწვობთ შეხვედრებს ყოველკვირეულად, სადაც ვისმენთ მათ ადმინისტრაციული ერთეულის შემავალ სოფლებში ფერმერთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, მოსავლის აღების, დაბინავეების, ტექნიკით უზრუნველყოფის და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებს. მათვე ვაცნობთ აგრარულ სფეროში განსახორციელებელ სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებს (პროექტებს) და სხვა საკანონმდებლო სიახლეებს, ანალოგიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გომის სასოგადოებრივი ცენტრის წარმომადგენლებთან და სხვა.

საქმიანი ურთიერთობები გვქონდა არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებთან. აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტის გაცნობის მიზნით ფერმერებთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „ელკანას“ და „ამარის“, აგრეთვე პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები. ვეროპასთან ასოციირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზე ვაცნობთ მიზნით, შეხვედრა მოეწყო ფერმერებთან არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეროპა საქართველოსათვის“ ინიციატივით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა“ წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ფერ-

მერებს და ჩვენ გაგვაცნეს გარემოს დანაგვიანებისა და ნარჩენების გატანა-გადამუშავების ტექნოლოგიების საკითხები, ამავე ორგანიზაციის ეგიდით მოეწყო შეხვედრა ფერმერებთან თემაზე „კლიმატის ცვლილებები და გლობალური დათბობის მოსალოდნელ შედეგებზე“.

მოეწყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფის“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებმაც ფერმერებს და სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებს გააცნეს სერვისის მოწოდებელი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის საგრანტო პროექტები, რომელიც ფინანსდება „ვეროპის სამეზობლო პროგრამის სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ (ENPARD) პროგრამის ფარგლებში.

გაიმართა შეხვედრები ფერმერებთან მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამის კოორდინატორ ორგანიზაციის - „თბილისის ბიზნეს-ტრენინგის ცენტრის“ წარმომადგენლებთან, მოეწყო შეხვედრა „მერსი ქორფის“ წარმომადგენლებთან მიმდინარე პროექტებზე, ასევე ფერმერებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ გორის ბიზნესფორუმის ინიციატივით მუნიციპალიტეტში გამართულ „უკრაინის და ბელორუსიის ბიზნესწვერების და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრაში. ფერმერები დაესწრნენ შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწვეულ ხაზურთან დამეგობრებულ ისრაელის ქალაქ რამლეს ოფიციალურ დელეგაციისა და ბიზნესწვერების წარმომადგენლებთან, სადაც მოსმენილ იქნა ძირითადი თემა - „სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში ისრაელის გამოცდილებების“ გაზიარება.

მოეწყო შეხვედრა „ფერმერ ქალთა ასოციაციის“ ხელმძღვანელებთან, რომლებმაც დამსწრე ფერმერებს გააცნეს გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერი პროგრამები.

„მერსი ქორფის“ პარტნიორი ორგანიზაციის - „სასოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ წარმომადგენლები შეეხვედრეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის და სერვისმომწოდებელ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლის დროსაც განხილულ იქნა მრავალი საინტერესო საკითხი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ ინიციატივით, ქ. გორში, ფერმერებისათვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მიმდინარე და სამომავლო პროექტების გაცნობის მიზნით და სხვა.

ქ. გორში, ფერმერების შეხვედრა მოეწყო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის IFAD - ის წარმომადგენლებთან „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრის წვდომის და მოქნილობის“ საკითხებზე და სხვა.

ქ. თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მოწვიბილ საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო 55-ზე მეტმა ფერმერმა და ს. ს. კოოპერატივის წარმომადგენელმა.

2016 წელს პერიოდულად შეხვედრებს ვაწვობდით საქართველოს მეღორაყვანის შიდა ქართლის რეგიონალურ სამმართველოს, ტაშისკარი-სალთვისის სერვისულ ორგანიზაციის, შპს „მექანიზატორის“ აგარის სერვისცენტრის ხელმძღვანელებთან და მათ დაქვემდებარებაში ხაზურის ზონაში მომუშავე მექანიზატორების მენეჯერებთან. შეხვედრებისას დაყენებული იქნა საკითხი სარწყავი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების და ხცისის სატუმბო სადგურის აღდგენის საკითხებზე, ხვნა-თესვის, მოსავლის აღების კამპანიის ხარისხიანად და აგროვადებში დროულად ჩატარებისათვის ჩვენს მიერ თავისდროულად მოწოდებული გეგმა-გრაფიკების მიხედვით. დაყენებული საკითხებიდან, მეღორაყვანის კუთხით, თითქმის არაფერია გაკეთებულა, ხოლო შპს „მექანიზატორმა“, მიუხედავად ხელმძღვანელი პირების ჩარევისა, აგროვადების დარღვევით წარმართა, როგორც ხვნა-თესვის, ისე მოსავლის აღების ოპერაციები.

კონსულტაციის მიღების მიზნით, ურთიერთობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრთან და პროფესიული სწავლების კოლეჯებთან:

კონსულტაციების მიღების მიზნით, საქმიანი ურთიერთობა გვაქვს „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და მეცნიერ მუშაკებთან, მათგან ვღებულობთ ინფორმაციებს სათესლე და სანერგე მასალების არსებობის და პესტიციდების მოქმედების სპექტრისა და გამოყენების თაობაზე, მოაოვებულ ინფორმაციებს ვაწვდით ფერმერებს პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

რჩევებისათვის ხშირად მივმართავთ აგრარული უნივერსიტეტის და თავისუფალი უნივერსიტეტის აგროქიმიურ და სხვა კათედრის მეცნიერ მუშაკებს, რომელთაც ვიყენებთ ფერმერებთან შეხვედრისას და სხვა.

ტრენინგები:

ტრენინგები სამსახურის მუშაკებისათვის ჩატარებულია საანგარიშო პერიოდში 18 ჯერ.

საქმიანი და კოლეგიალური დამოკიდებულება გვაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, საქართველოს მეღორაყვანის რეგიონალურ და სერვისულ ორგანიზაციებთან, შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელებთან. ფერმერებთან შეხვედრებისას, ყველა წამოჭრილ პრობლემებზე ხდება მათი ინფორმირება, როგორც წერილობით, ისე პირადად და იგი წყდება შედეგებისდაგვარად, ასე მაგალითად: ფერმერებთან შეხვედრისას ს. ვაჟაში დასვდა საკითხი სარწყავი სისტემის ცენტრალური მაგისტრალიდან წყლის გაჟონვით ნათესების დაზიანების, შიდა სარწყავი სისტემების და გზებზე მიღ-ხიდების აღდგენის თაობაზე, ხცისის სატუმბო სადგურის აღდგენის საკითხებზე და სხვა. აქედან მოწვესრიგდა ს. ვაჟის ფერმერთა მოთხოვნა, ხოლო ხცისის სატუმბო სადგური კვლავ აღსადგენია, ასევე ფლვის, ალის და წადლის ადმინისტრაციული ერთეულის ფერმერების მიერ დაყენებული საკითხი „ხემო ხაზურის გასარწყავების“ სისტემის უახლეს პერსპექტივაში აღდგენის თაობაზე კვლავ გადასაწყვეტია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურის სპეციალისტების მიერ, ვეტერინარიის კუთხით, ხაზურის მუნიციპალიტეტში შესრულებულია - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აცრა (თურქულზე) 16 812 სულზე, წერილფეხა რქოსანი პირუტყვი - თურქულზე 1 533 სული, ყვავილზე - 776 სული, ჭირის დაავადებაზე - 687 სული, ბრუცელიოზზე გამოკვლევა ჩატარდა სულ 5 795 მსხვილფეხა პირუტყვს და აცრა 49 სულს. ორჯერ მოხდა დამუშავება ყირიმ-კონგოს დაავადებების საწინააღმდეგო პეპარატებით 32 392 სულზე, ასევე მოხდა ყირიმ-კონგოს გამავრცელებელი ტკიპების გასანადგურებლად საძოვრების 300 ჰექტარამდე ფართობის და პირუტყვის 990 საღვამის შეწამულა მექანიკურ წესით. პარალელურად, მიმდინარეობს პირუტყვის იდენტიფიცირების სამუშაოები.

სურსათის უვნებლობის მიმართულებით, მონიტორინგი ჩატარდა მუნიციპალიტეტის ყველა სასწავლო დაწესებულების კვებით ობიექტს, უვნებლობის პარამეტრებზე კვლევის მიზნით, აღებულია სხვადასხვა სურსათის 125-ზე მეტი ნიმუში. თანმიმდევრულად მიმდინარეობს ოპერატორთა დოკუმენტური შემოწმებები, რომელიც 187 ბიზნეს-ოპერა-

(დასასრული)

ტორზე მეტია.

ფიტოსანიტარიის კუთხით პერიოდულად ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი, როგორც საკარანტინო მანქანების, ისე მასობრივი ავტობუსების უნარის მქონე მწერებზე და დაავადებებზე. 2016 წელს გაცემულია 9 ფიტოსანიტარული სერტიფიკატი. ასევე, აღებული იქნა 11 ნიმუში ხეხილის ბაქტერიული სიდამწერზე და გაგზავნილი იქნა ბათუმის ლაბორატორიაში გამოსაკვლევადად, განთავსებები მოხდა ფერომონიანი საჭერების საკარანტინო ობიექტების დასაფიქსირებლად. რეგულარულად მიმდინარეობდა მარშრუტული გამოკვლევები როგორც საკარანტინო, ისე მასობრივი გავრცელების უნარის მქონე ობიექტების დასაფიქსირებლად. ძირითადი აქცენტი აღებული იყო ისეთ შიდა საკარანტინო ობიექტებზე, როგორცაა ამერიკული პეპელა, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირებულა.

ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა მცირე მიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი. მასში მონაწილეობა მიიღო 13 683 ბენეფიციარმა, აქედან ხენის ბარათი მიიღო 8 965 ბენეფიციარმა, ხოლო 4 718 ბენეფიციარმა 50 ქულიანი აგრობარათი. რეალურად მოიხსნა შპს „მეკანიზატორისა“ და ქვეკონტრაქტორის მიერ 1903 ჰექტარი. უკან დაბრუნებულია კოდი 3-ით 4408 ბარათი 3826 ჰექტარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში მოხსნულად ჩაითვადა 5 729 ჰექტარი და თანხობრივად სულ 1 020 454 ლარის სარგებელი იქნა მიღებული. სამსახურის ძალისხმევით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ხენის ბარათებით მოსარგებლე ბენეფიციარებში წარმომოხდელი სიძნელეები, რაც სახნავი ტექნიკის ნაკლებობით და გაუმართაობით იყო გამოწვეული.

პროგრამა „დანერგე მომავალში“ მონაწილეობა მიიღო 8 ბენეფიციარმა, მათ შორის ორი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია. მრავალწლიანი კულტურები გაშენდა 13 ჰექტარზე. სააგენტოს თანადაფინანსებამ 101 361 ლარი შეადგინა.

შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 10 ბენეფიციარმა, აქედან სამმა ლარებში 291,0 ათ ლარი მიიღო, ხოლო 7-მა კი - 226,9 ათ. აშშ დოლარი.



აგროდაზღვევის პროგრამით გაცემულია 7 პოლისი, სადაზღვევო ლიმიტმა 5984 ლარი შეადგინა, სადაზღვევო პრემიამ - 4996 ლარი, სააგენტოს მიერ გადასახდელი პრემიის წილმა 3717 ლარი. ხოლო, დაზღვეულმა ფართობმა 5 ჰექტარი.

ფერმერებს ხელი მიუწვდებოდა როგორც შეღავათიანი აგროკრედიტზე, ისე დაზღვევის პროგრამებზეც.

რეგიონალური სამმართველო და საინფორმაციო-საკონსულტაციო

სამსახურის მიღწევები და წარმატებები;

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურ მუშაობას ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და მოქმედი კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნის დონემდე წარმართვის საქმეში, სულ 2016 წელს შეიქმნა 16 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის ერთ მთლიან დონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. საერთო რაოდენობამ 47-ს მიაღწია.

წარმატებით განხორციელდა ჩვენი ჩართულობით მცირემიწიანი ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, რომლის საშუალებითაც წლის განმავლობაში მოიხსნა 5729 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

სამთავრობო პროგრამა „დანერგე მომავალში“ ცხოვრებაში გატარების მიზნით, ფერმერებთან ყველა დონეზე შეხვედრებისას, ფართო ახსნა-განმარტებას ვეწოდით, რის შედეგადაც წლის განმავლობაში 9 ბენეფიციარმა მოგემართა განცხადებით, რომლებზედაც სათანადო გადამოწმების შემდეგ გაიცა სანებართვო ცნობები მრავალწლიანი ნარგავებისათვის განკუთვნილი ფართობების დადგენილი კრიტერიუმებით დაკმაყოფილების თაობაზე. სულ გაშენებულია პროგრამით 13 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავი და პროგრამის გარეშე 42 - ჰექტარამდე კაკლის და ხილის ბაღები. ვიმედოვნებთ, ხაშურის მუნიციპალიტეტი ახლო მომავალში დაიბრუნებს სამრეწველო მეხილეობის სტატუსს.

ჩვენს მიერ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე დაყენებული საკითხის საფუძველზე, აპრილის თვეში, მოეწყო მოსახლეობასთან შეხვედრა ს. წროში ხეხილის სატუმბო სადგურის სარეაბილიტაციაო სამუშაოების დაწყების საკითხზე. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი და საქართველოს მედიორაციის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელთაც დამსწრე ფერმერებს მისცეს დაპირება, რომ 2017 წლიდან დაიწყებდნენ სარეაბილიტაციო სამუშაოს.

საანგარიშო პერიოდში, ჩვენი ინიციატივით, მოვახდინეთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ფერმერების და კოოპერატივის ხელმძღვანელების შეხვედრები სულ 15-ჯერ, რაზედაც დაწერილებით ზემოდაც არის მოხსენიებული.

წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით მოვახდინეთ შეხვედრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში მცხოვრებ ფერმერებთან. სულ ასეთი შეხვედრა ჩატარდა 13 ადმინისტრაციული ერთეულის 79 სოფელში, რომელსაც 1200 მეტი მსმენელი დაესწრო, დამსწრეებს ვაცნობდით სამთავრობო პროგრამებს და ვაძლევდით რჩევა დარიგებებს, ვუწვევდით კონსულტაციებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა, მიყვანის და მოსავლის აღება-დაბინაჟების თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ასევე მათგან ვინმენდით სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ პრობლემებზე. წამოყენებული პრობლემები ბევრი ადგილზე იქნა პასუხაცემული და ზოგიერთ საკითხზე დაყენებული იქნა ზემდგომ ორგანოებში წინადადებები მათი მოგვარების მიზნით. შეხვედრებში ჩვენთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

ჩვენი ინიციატივით, ორჯერ მოწვეული იქნა და შეხვედრა მოვაწვეთ ფერმერებთან წილკანის სამაცივრე კომპლექსის შპს „ჯიეტას“ დირექტორ ბატონ გ. გაჩეჩილაძესთან და მასთან ერთად დავათვალიერეთ მათივე კონსულტაციებით გაშენებული ბუღალარული წიწაკის ფართობები. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალარული წიწაკის წარმოება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის არატრადიციულს წარმოადგენს, მისი წარმოებით ფერმერები კმაყოფილი არიან.

სისტემატიურად ვახდენდით საკონსულტაციო შეხვედრებს წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ფერმერებთან, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეებთან ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, ოფისში, მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში, და უშუალოდ საველე პირობებში.

მუშაობისას ჩვენთან ერთად შეხვედრებში რჩევებს იძლეოდნენ სამსახურთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს წევრებიც. ფერმერებს ვურიგებდით სამინისტროს

ყოველთვიურ გაზეთს „ჩვენი სოფელი“-ს ნომრებს, ბროშურებს და ბუკლეტებს. ჩვენი სპეციალისტების აქტიური კონსულტაციებისა და რჩევების შედეგად, ქ. ხაშურში, შეღავათიანი აგროკრედიტით აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პირუტყვის სასაკლავო და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მინიქარხანა. ასევე, შესაძლებელი გახდა მიკრო და მცირე მწარმოების ხელშეწყობის პროექტში წარმატებების მიღწევა. ორმა ფერმერმა მიიღო ხირის წარმოების მინიქარხნის მოწყობილობა, ერთმა ფერმერმა - უხეში საკვების წნეხ-ამკრეფი აგრეგატი და ერთმა ფერმერმა, მოპოვებული 15000 ლარის თანადაფინანსებით, შეიძინა 8 სული ჯიშისანი ძროხა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფის“ პროგრამის - „სასოფლო სამეურნეო სერვისების მოწოდებელთა ბიზნესის განვითარებისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „მწვანე ნაბიჯი“, რომელმაც 7000 ევროთი შეიძინა სათანადო ტექნიკა თანამონაწილეობით.

შეუფერხებლად მუშაობს მუნიციპალიტეტის შენობაში განთავსებული მონიტორი, სადაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ ვიდეთ-მასალაების საშუალებით გაეცნონ აგრარულ საკითხებზე მოწინავეთა გამოცდილებებს.

წლის განმავლობაში, სამინისტროს მიერ დაწესებული გრაფიკის მიხედვით, ვახდენდით შეხვედრებს ფერმერებთან და დაინტერესებულ პირებთან გომის საზოგადოებრივ ცენტრში.

ჩვენი მუშაობის შედეგად, გრძელდებოდა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის პროცესი. საანგარიშო წელს სულ შეიქმნა და სტატუსი მოიპოვა 16-მა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივმა, ხოლო სამი კოოპერატივი შექმნის პროცესშია.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელებთან ერთად, ვახსენებდით მცირემიწიანი ფერმერთა საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში მონაწილეობის სივრცეებს და ჩვენი ინიციატივით შედგენილი იქნა საგაზაფხულო და საშემოდგომო ხენების გეგმა-გრაფიკი და წარედგინა იგი შპს „მეკანიზატორის“ აგარის სერვისცენტრს. სამინისტროს, ჩვენი და რეგიონალური სამმართველოს ჩარევით, ტექნიკის არასაკმარისობის პირობებში, ხენების ჩასატარებლად შემოყვანილი იქნა იმერეთის რეგიონიდან 15 ტრაქტორზე მეტი, რის შედეგადაც აგროვალების დარღვევით, მაგრამ მაინც მოიხსნა პროექტის ფარგლებში 1800 ჰექტარზე მეტი ფართობი, ასევე მართვადი გაგზავნა თავთაყვანი კულტურების აღების პროცესიც. წარმატებით დასრულდა ამერიკის საელჩოს დახმარებით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალების საფუძველზე, შერჩეული 8 ფერმერის ხორბლის ნათეს ფართობებში რეკომენდებული მეთოდოლოგიით განსახდურული სამუშაოები და სავარაუდო მოსავლის განსახდურის მასალები გადაეცა შეიდა ქართლის რეგიონალურ სამმართველოს.

დადებითად გადაწყდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩვენს მიერ დაყენებული საკითხი „დანერგე მომავალში“ სამთავრობო პროგრამაში უეკლო მაყვალის კულტურის დამატების საკითხი, რაზედაც ფერმერებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ჩვენი სამსახურის ინიციატივით, საკონსულტაციო საქმიანობის გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით, შეექმნით ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო, ჩვენი სპეციალისტების ჩათვლით 13 კაცის შემადგენლობით. საბჭოს შემადგენლობაში შერჩეული იქნა პრაქტიკული გამოცდილების ჩვენს რაიონში მცხოვრები მეცნიერ-მუშაკები და გამოცდილი ფერმერები.

სისტემატიურად ხდება საკონსულტაციო საბჭოს წევრთა შეკრება და საბჭოს სხდომაზე აქტუალური საკითხების განხილვა. დასმული საკითხებიდან დადებითად გადაწყდა შემდეგი:

„დანერგე მომავალში“ სამთავრობო პროგრამის მრავალწლიანი კულტურათა ჩამონათვალს დაემატა „უეკლო მაყვალი“.

სამინისტროს და რეგიონალური სამმართველოს დახმარებით, თავთაყვანი კულტურების აღების პერიოდში დამატებით შემოყვანილი იქნა ახერბაიჯანის რესპუბლიკიდან და კახეთიდან 12 ერთეული კომბაინი, საშემოდგომო ხენა-თესვის კამბაინის წარმართვისათვის იმერეთის რეგიონიდან-15 ერთეული მაღალი წარმადობის სახნავი ტექნიკა, რაც შეეხება შპს „საქართველოს მედიორაციის“ შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელობის წინაშე დაყენებულ საკითხებს, ისინი კვლავ გადასაწყვეტია და კიდევ ერთხელ ვთხოვლობთ დახმარებას სამინისტროს ხელმძღვანელებისგან.

ყოველკვირეულად ხდება აგრარულ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და სამინისტროსათვის მიწოდება.

პრობლემები რეგიონში სოფლის მეურნეობის კუთხით

რეაბილიტაციის მოითხოვს 2017 წლისათვის ხცისის სატუმბო სადგური 800 ჰექტარი შიდა სარწყავი სისტემებით, ასევე გადაწყვეტას მოითხოვს რამდენიმე წლის წინ გაუქმებული შიდა სარწყავი სისტემების ასოციაციებზე რიცხული ქონების განკარგვის საკითხი, რადგან მათ აღდგენაზე და რეაბილიტაციაზე საქართველოს მედიორაციის ადგილობრივი სერვისცენტრები უარს აცხადებენ.

უახლეს 2-3 წელიწადში აუცილებლობას წარმოადგენს ე. წ. „ზემო ხაშურის“ სატუმბო სადგურის აღდგენის საკითხი, რომელიც ცნობილი მოვლენების შედეგად გაძარცვულია. საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირობებში, ფლევის, ალის და წაღვლის ადმინისტრაციული ერთეულის 12 სოფლის 3000 ჰექტარამდე ფართობი გასარწყავდება და იქ მცხოვრებ სიღარიბის ზღვარზე მყოფ 6,500-ზე მეტ ოჯახს შესაძლებლობა მიეცემა წვიმის გლეხური არარენტაბელური მეურნეობა მაღალ მწარმოებლურ ხილის, ბოსტნეულის და მარცვლეულის რენტაბელურ მეურნეობად აქციონ.

სასურველია, შპს „მეკანიზატორის“ სახნავი ტექნიკა, თავისი მანქანა იარაღებით, განლაგდეს, სულ ცოტა, ოთხ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულში, რითაც ყველა ფერმერს თავს ავაცილებთ ზემდგომ ხარჯებს ტექნიკის გადაადგილების ღირებულების გადახდისათვის.

სასურველია, 2017 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის მიერ ხაშურში ჩამოყალიბებულ ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ნაწილი დაეთმოს სადემონსტრაციო ფართობებს, სადაც აქ დასაქმებული მეცნიერ-მუშაკები და სპეციალისტები ადგილობრივ ფერმერებს თეორიულად გააცნობენ და ეტაპობრივად აჩვენებენ, თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენებით, სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის და დაბინაჟების პროცესებს.

ფერმერებთან შეხვედრისას დაყენებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, მიზანშეწონილია მრავალწლიანი კულტურების გაშენების სამთავრობო პროგრამა „დანერგე მომავალში“ კულტურათა ჩამონათვალს დაემატოს ვაზის გაშენება და საერთოდ გასაშენებელი ფართობის მინიმალური ფართობი განისაზღვროს 0,5 ჰექტრიდან.

ასევე, ფერმერთა ფართო სპექტრის მოთხოვნაა, გადაწყდეს საბრუნავი საშუალებების შექმნისათვის სეზონური შეღავათიანი მოკლევადიანი აგროკრედიტით უზრუნველყოფის საკითხი.

აღდგენას მოითხოვს უკონტროლობის შედეგად განადგურებული ქარსაფარი ზოლების ნარგავობა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს პროგრამით ახლადგაშენებული ბაღების ზრდა განვითარებისა და ნიადაგის ქარის მიერი ეროზიისაგან დაცვისათვის.

ჯემალ გელაშვილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი

მასწავლებლად დაბადებული

ყველა პროფესია შეიძლება შეისწავლო, კარგი სპეციალისტიც დადგე, მაგრამ თუ მასწავლებლად არ ხარ დაბადებული, ძნელია, მასწავლებელი იყო. მასწავლებელში არის რაღაც დღვთაებრივი, რაც ასე განასხვავებს მას სხვა პროფესიებისაგან. წლები, წლები და კიდევ წლები..... უამრავი



ვი ადამიანი გვხვდება ცხოვრების გზაზე, ბევრი გახსოვს, ბევრიც ბინდუნდში ილანდება. მაგრამ არის ერთი გამორჩეული ადამიანი, ჩვენი პირველი მასწავლებელი, რომლის გახსენების დროსაც საოცარი განცდა გეუფლება და უცბად გადადიხარ ბავშვობის წლებში. გახსენდება ის პირველი სექტემბერი, როცა იგი შემოვიდა საკლასო ოთახში და რაღაც საოცარი, მართლაც, რომ დედობრივი სიტბო და სიყვარული გვაგრძობინა პატარებს. ყოველთვის გახსოვს იგი, იმდენად დიდია ჩვენზე გადმოსული მისი ღვთიური მადლი, რომ როცა მასწავლებელზე ჩამოვარდება საუბარი, ყოველთვის მისი სახე გიდგას თვალებში... მერე, მერე სხვა

მასწავლებლებშიც ვგრძობდით ამ სიტბოსა და სიყვარულს, თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ყველა ერთნაირად ცდილობდა, ჩვენში ადამიანის აღზრდას და მაინც, მათშიც იყო გამორჩეული მასწავლებლები. ერთ-ერთი ასეთი, ყველასგან გამორჩეული იყო ანა ნოზაძე, ჩვენი ანიკო მასწავლებელი.....

მეხუთე კლასში შემოვიდა ჩვენთან და სკოლის დამთავრებამდე არ მოგვშორებია... ჩვენამდე უკვე პედაგოგიური გამოცდილების დიდი გზა ჰქონდა გავლილი. სრულიად ახალგაზრდას, 16 წლის ასაკში დაუწვია მასწავლებლობა ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთის რვაწლიან სკოლაში. აქ ასწავლიდა გეოგრაფიასა და ისტორიას. 1945 წლიდან ხაშურის ქალთა პირველ საშუალო სკოლაშია, ხოლო 1952 წლიდან - ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში. აქედან გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ორმოცდახუთი წლის ასაკში, 1969 წელს „რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება მიენიჭა, მოგვიანებით, 2000 წელს „ღირსების ორდენითაც“ დააჯილდოვეს....

თითქმის 65 წელი ემსახურა თავის საყვარელ საქმეს....

არაერთი შტრიხით შეიძლება, მისი, როგორც პედაგოგის წარმოჩენა, ყველაფერი ეს კი თვალსაჩინოდ აისახებოდა და ვლინდებოდა მის პედაგოგიურ ტაქტში.

მის საქმიანობაში ორი მომენტი იქცეოდა ყურადღებას, ერთ მხარეს იდგა პედაგოგი, მართლაც, რომ მასწავლებლად დაბადებული და მეორე მხარეს კი ორგანიზატორი. ორივე შემთხვევაში თანაბრად ძლიერი იყო. როგორც პედაგოგი ნამდვილად გამოირჩეოდა სხვათაგან, ხოლო მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის იქცეოდა ყურადღებას, გამოირჩეოდა მასშტაბურობით და შინაარსით, რაც მთავარია აკადემიურობით. ანა მასწავლებელი ცნობილი იყო თავისი სიმკაცრითა და მომთხროვნელობით, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ მოსწავლეების მხრიდან ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით ყოფილიყო გარემოსილი.

მახსენდება მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები და მიკვირს, როგორ შეეძლო, ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით წარემართა ნებისმიერი გეოგრაფიული დისციპლინა, საინტერესო გაეხადა ის რასაც გვასწავლიდა. მინდა გავისხუწო „ჩაჯარდნა“ სომ არ ჰქონდა ერთხელ მაინც და ვერ ვიხსენებ. მეხსიერებას ასეთი „ჩაჯარდნა“ დაფიქსირებული არ აქვს. მის გაკვეთილებზე ვდებულობდით უამრავ ინფორმაციას, ბავშვებისთვის ეგზომ მიმზიდველს და ყოველთვის საინტერესოს გეოგრაფიულ მოვლენებსა თუ მოვზაურთა ფაქტობით აღსავსე ცხოვრებაზე.

საოცარი უნარი ჰქონდა, ჩვენთვის ესწავლებინა და ჩვენც შევჩვეოდით დამოუკიდებელ მუშაობას.

„გვაიძულებდა“ ყოველდღიურად გვეკითხა ახალი გახეთები, გავცნობდით მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებს და შემდეგ, გაკვეთილის დასაწყისში თანაკლასელებისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია.

ერთი მეტად საინტერესო შტრიხი: ისე შთამბეჭდავად, ისე ოსტატურად ხსნიდა ახალ მასალას, რომ იქვე ვსწავლობდით. გაკვეთილი კი იწყებოდა ინფორმაციით საერთაშორისო მოვლენებზე, ამას მოსდევდა სამი - ოთხი მოსწავლის გამოკითხვა, შემდეგ კითხვებით კლასის შემოწმება, თუ როგორ გვეჩინდა შეთვისებული დავალება, ამის შემდეგ ხსნიდა ახალ მასალას, ამოწმებდა ჩვენი მიერ მისი შეთვისების ხარისხს და ამას მოსდევდა ახალი მასალის გამოკითხვაც და ამას ახერხებდა 45 წუთის განმავლობაში.

ხშირად ნებისმიერ ჩვენთაგანს გვანდობდა მასწავლებლობას და ჩვენც ხალისით ვიკავებდით მის ადგილს. „მასწავლებელს“ უნდა გამოეკითხა და მასთან ერთად შეეფასებინა ჩვენი თანატოლები... და ეს კეთდებოდა ისეთი ტაქტით, თან ისეთი ოსტატობით, რომ რაიმე „გაუგებრობას“ ადგილი არ ჰქონდა.

ხშირად მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი უფრო ზეიმს ჰგავდა და ამ ზეიმის მონაწილე იყო თითოეული მოსწავლე...

არ ვიცი, სად და როგორ, ან ვისი ხელმძღვანელობით იყო ნაზიარები მასწავლებლის ხელოვნებას, ან თუ არსებობდა მაშინ დღევანდელი მოდერნიზებული ტრენინგების მსგავსი რამ... ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, ხოლო შემდეგ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა... ერთი შტრიხი კიდევ, თავად შესანიშნავი ორგანიზატორი, ჩვენც გვანგვედა საზოგადოებრივ საქმიანობას, რაც გამოიხატებოდა მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებში ჩვენი ჩართულობით და სხვა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი რუსთაველის ქუჩაზე დილით სკოლისკენ მიმავალ ანა მასწავლებელს ისევე ისეთივე კრძაღვა და რიდი მეუფლებოდა, როგორც მაშინ, მოსწავლის მერხზე რომ ვიჯექი. მიხაროდა, რომ მისი ერთ-ერთი მოსწავლეთაგანი მეც ვიყავი, რაღაც საოცარ მაღლიერებას ვგრძობდით ხოლმე მის მიმართ. მართლაც, რომ დიდი მასწავლებელი იყო, ამ სიტყვების ყველაზე ფართო გაგებით, მასზე ნამდვილად ითქმოდა, რომ იგი მასწავლებლად იყო დაბადებული. 2016 წლის ზაფხულში განერიდა ანა მასწავლებელი საწუთისოფლოს ჩუმაღ და უხმაურად.

ეს პატარა წერილი უკან გადევნებულ ლამპარსა ჰგავს, მაგრამ რომ არ მეთქვა, არ შემეძლო....

თამაზ ლაცაბიძე, სამუზეუმო გაერთიანების მმართველი

სწუდენცებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან, გამგეობა კვდავაც დააფინანსებს



არც თუ ისე სახარბიელო სოციალური ფონი, დამეთანხმებით, ჩვენს ქვეყანაში თვალსაჩინოა, თუმცა სახელმწიფო მასთან ბრძოლის საქმეში ძალებს არ ზოგავს, უკვე წლებია სიღარიბესთან ბრძოლა პრიორიტეტულ საკითხად იქცა, რასაც ცხადყოფს ის უამრავი სოციალური პროგრამა, რომელიც ხორციელდება როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეებზე. ამ სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამების უმთავრესი დანიშნულებაა დახმარების მიზანმიმართული და საჭიროების მიხედვით გადანაწილება, რომელიც სასიკეთოდ აისახება ქვეყანაში სიღარიბის მანქენებელზე. სოციალური პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეპუნქტად შეიძლება ჩაითვალოს განათლების ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის თანადაფინანსებას. ხშირად ხდება, რომ ოჯახი უსახსრობის გამო ვერ ახერხებს სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდას, სწორედ ამისათვის, წლებია ეს პროგრამა, საკმაოდ ეფექტურად, მუშაობს, რომელიც გულისხმობს სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების სწავლისათვის ფულად დახმარებას. პროგრამის დეტალების უკეთ გასარკვევად ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს გიგა ცერცვაძეს გავესაუბრეთ.

გიგა ცერცვაძე: სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 65 000-ზე. ფულადი დახმარება ითვალისწინებს ყოველ სასწავლო წელს 800 ლარით დაფინანსებას. გარდა სოციალურად დაუცველებისა, აღნიშნული შეღავათებით ისარგებლებენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა სტუდენტები შვილები. დაფინანსების მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე, პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტის ბილეთის ასლი (ან ცნობა სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ) ანგარიშგაქტურა გადასახდელი სწავლის ქირის ოდენობის შესახებ, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან და მშობლის დაღუპვის გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია ისიც, რომ, გასულ წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, 88 სტუდენტმა მიიღო დაფინანსება.

თიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 65 000-ზე. ფულადი დახმარება ითვალისწინებს ყოველ სასწავლო წელს 800 ლარით დაფინანსებას. გარდა სოციალურად დაუცველებისა, აღნიშნული შეღავათებით ისარგებლებენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა სტუდენტები შვილები. დაფინანსების მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე, პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტის ბილეთის ასლი (ან ცნობა სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ) ანგარიშგაქტურა გადასახდელი სწავლის ქირის ოდენობის შესახებ, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან და მშობლის დაღუპვის გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია ისიც, რომ, გასულ წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, 88 სტუდენტმა მიიღო დაფინანსება.

თ. ახალკაცი



ავტობანის ოსიაური-ჩუმათელეთის 14 კილომეტრიან მონაკვეთს იტალიური კომპანია ააგებს



საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, 60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომგვისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალი) 14 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ტენდერში გამარჯვებულ იტალიურ კომპანიასთან „IRD ENGINEERING“-თან ხელშეკრულება გააფორმა.

ხელშეკრულებას ხელი საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მაია ქალიაშვილმა და „IRD ENGINEERING“-ის დირექტორმა პაოლო ორსინმა მოაწერეს.

სახელმძღვანელო მომსახურების ღირებულება 4 964 791 აშშ. დოლარი და 3 643 680 ლარია. ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა, მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (IBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი, პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის ინიციატივის, 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულების - ქვეყნის სივრცითი განვითარების ნაწილია.

პროექტის ფარგლებში აშენდება: 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟე სისტემები.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის 14 კმ-იანი გზა, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის. ამ გზით ჩრდილოეთიდან გვერდს აუვლით ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და გამოვალთ რიკოთის გვირაბთან.

რკინიგზის პროფკავშირი - რკინიგზელთა სამსახურში

რკინიგზელთა პროფესიული კავშირი საუკუნოვან ისტორიას ინახავს, რომელიც შეიქმნა სწორედ იმისათვის რომ ამ სფეროში დასაქმებულთა შრომის პირობები მკვეთრად გაუმჯობესებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რკინიგზა იყო და იქნება ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფელი, შესაბამისად, რკინიგზელთა პროფკავშირი ნელ-ნელა ძალებს იკრებს, რათა ღირსეულად იმუშაოს, სწორედ იმ ადამიანთა შრომის პირობების გაუმჯობესებაში, რომელზედაც რეალურად დგას, დღესდღეობით საქართველოს რკინიგზა.

„ხაშურის მოამბე“ საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობის რწმუნებულს ხაშურის რაიონში მიღერი ლომიძეს ესაუბრა, რომელმაც ჩვენთან საუბარში ორგანიზაციის მიერ 2016 წელს განხორციელებული აქტივობები მიმოიხილა.

მიღერი ლომიძე: საახალწლოდ რკინიგზელთა ბავშვებისათვის შევიძინეთ 500 ბილეთი გასართობ ცენტრში. ხელშეკრულება გააფორმეთ ქეთევან გელაშვილთან და მარიამ ბუღაძესთან, რომლებიც დღეში 25 ბავშვს მასპინძლობენ და ზრუნავენ ბავშვების გამხიარულებასა და გართობაზე. ვესმარებით შეჭირვებულ ოჯახებს ფულადი კომპენსაციით, ასევე გუნაზღაურებთ ოპერაციების თანხებს და ვუძენთ მთელ რიგწამლებს. ვცდილობთ, გარდაცვლილ რკინიგზელთა ოჯახებს შევუმსუბუქოთ წვერის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება და მათთვისაც გამოყოფილია თანხები დასახმარებლად. დაქორწინების შემთხვევაში ასევე ფულით ვასაჩუქრებთ. ვზრუნავთ რკინიგზელთა განტვირთვასა და დასვენებაზეც. მათთვის და მათი ოჯახებისათვის ვაწვობთ ექსკურსიებს ზაფხულის განმავლობაში. მიღწევები გვაქვს კულტურისა და სპორტის სფეროშიც. შაშვი, ჭადრაკში და ნარდში ვატარებთ ტურნირებს და გამარჯვებულებს ვაჯილდოვებთ.



რკინიგზელთა პროფესიული კავშირის 2016 წელს 111 წელი შეუსრულდა. 1998 წლიდან საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი „რკინიგზელთა და სარკინიგზო ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის“ წევრია, ხოლო 2000 წლიდან კი „ევროპისა და მსოფლიოს ტრანსპორტელთა პროფკავშირების (ბრიუსელი, ლონდონი) საერთაშორისო ფედერაციების“ წევრი ორგანიზაციაა. რკინიგზელთა პროფესიული კავშირი მთელ საქართველოს მოიცავს და მასში შემავალ წევრთა რიცხვი 7000-ზე მეტია. შექმნიდან დღემდე ორგანიზაცია ძალებს არ იშურებს, რათა რკინიგზელთა ოჯახებში სტაბილური ვითარება შექმნას, როგორც ფინანსური, ასევე ჯანმრთელობის დაცვის კუთხითაც.

თ. ახალკაცი

ახალგაზრდი თეატრული დასი სპექტაკლით „გაკვეთილი“

ქ. ხაშურში, თეატრის მოყვარულმა საზოგადოებამ ახალი სპექტაკლი იხილა, რომელიც კულტურის ცენტრების გაერთიანების ბაზაზე შექმნილმა „ახალგაზრდულმა თეატრულმა დასმა“ წარმოადგინა სპექტაკლი სახელწოდებით „გაკვეთილი“, პიესის ავტორია რუმინელი დრამატურგი, აბსურდის დრამის თვალსაჩინო წარმომადგენელი ევენ იონესკუ. აღნიშნული ფსიქოლოგიური დრამით, ახალგაზრდულმა დასმა, ადამიანის არსებობის პერიპეტეხები წარმოადგინა. სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები სოციალური აქტუალური პრობლემა. ზემდგომი იერარქიებისაგან კონტროლი, იდეოლოგიური ზომბირება, შედეგად კი მართული ადამიანი, თავისუფალი ნებისა და არჩევნის გარეშე, სრულ რევრესში მყოფი, მთავარი იდეა სპექტაკლისა ახალგაზრდა მსახიობებმა დრამატიზმით და ექსპრესიულობით გადმოსცეს თეატრის მაყურებელს.

დრამატურგ იონესკუს აბსურდის დრამის ინტერპრეტაცია, დასის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გაია ცხვედაძემ მეტად საინტერესო ასპექტით, რეჟისორული ხერხებით გადაწვეიტა, ტექსტუალური პირველ წყაროდან რეჟისორმა ფაშისიმის იდეოლოგიითა სამგვარი სახე გვიჩვენა, ახალგაზრდა მსახიობების მიერ შესანიშნავად შესრულებული - საბა ლომსაძე, ანდრეა გუგუბერიძე, ტატო ცუცქირიძე.



ფსიქოლოგიურად არამდგრად ფაშისტურ იდეოლოგიებს, მოახლე-ქვეშევრდომი მარი ჰყავთ, რომელიც მათი ყოველი დანაშაულებრივი ქმედების მონაწილე და თანახიარია, მისი ძალისხმევა სიკეთისკენ წარმატოს ბოროტება, უშედეგოდ მთავრდება, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მარის გმირი - ელენე ბარკალია, ყოველ პოტენციურ მსხვერპლს „სისხლიან ოთახში“ მიუძღვება. ფაშისტების როლის შემსრულებელი პერსონაჟები, ახალგაზრდებზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ, ახალგაზრდებს მცდელობა აქვთ, წინააღმდეგობა გაუწიონ სისხსტიკეს, თუმცა მათი აღტკინება და მცირე დოზით გამოხატული პროტესტი ფრუსტრაციით სრულდება. თითოეულ მსხვერპლს, აწ უკვე დიდი ხნის წინ, ლეტალურად დამთავრებული ცხოვრების მსხვერპლები, სულგად წარმოდგენილი, თეთრ სამოსში ეცხადებიან, მსახიობები - გიო ნოზაძე, სალომე ფაფაკრაშვილი, ქეთა ჩანანიძე, სოფო ტაბატაძე, რომელთა წინადადებები ერთგვარ რეფრენად გასდევს მთლიან სპექტაკლს ამგვარი შინაარსით, რომ „ბოროტებას საბოლოოდ სიკეთე სძლეოს.“ სცენოგრაფა, რეჟისორმა მინიმალურად, ალგორითული სიმბოლოებით დატვირთა, საინტერესოდ აღსაქმე-



ლი იყო მხატვარ-დეკორატორის, გაია დამბაშიძის მიერ შესრულებული პორტრეტები. ნიკა ბოლოკაძის, მუსიკალური გამფორმებლის მიერ შერჩეული, მიმიკ, დინამიკური, ნეგატიური მდგომარეობის მაწველები მუსიკა სახესებით თანხვედრაში მოდიოდა პიესის შინაარსობრივ მხარესთან. ახალგაზრდა მსახიობებმა - ლელა სებისკვერაძემ, ნათია თავაძემ და ანკა მამიჯანაშვილმა, მსხვერპლთა ცალსახად საინტერესო სახეები შექმნეს. სპექტაკლის ეპილოგი, წარმოადგენის ოპტიმისტური დასასრულია, ერთობლივად, რამდენიმე პერსონაჟი, თითქოს ინტერაქციას მართავს დამსწრე აუდიტორიასთან, თითოეული ცალ-ცალკე წარმოადგენს, შიშს - ელენე ბარკალია, ბოდიშს-გიორგი შათირიშვილი, პენსიზმს-გიორგი ფერაძე, სიყვარულის - სალომე ფაფაკრაშვილი, სიკეთეს - ქეთი ჩანანიძე, სევდას - სოფო ტაბატაძე, იმედს - კოტე პაპუაშვილი. სპექტაკლის მთავარი ედეური არსია ეპოქათა მონაცვლეობის პერიოდში, იდეოლოგიურად მართული საზოგადოება. სხვადასხვა ძალაუფლებრივ სტრუქტურების მიერ, ფსიქოლოგიური ტერორისა და ძალადობრივი მეთოდების შედეგად ადამიანი კარგავს აზროვნებას, წინააღმდეგობრიობის უნარს და უუნარო-უმოქმედო, მარიონეტად ქცეული, ბოლოს ნადგურდება. თუმცაღა, მიუხედავად ყოფიერებათა პრობლემებისა, არსებობს მორალურ-ეთიკური კატეგორიები, პატიოსნება, კეთილშობილება, მიმტკეველობა, ურთიერთთანადგობა, კეთილი საწყისისადაც სწრაფვა და, რაც ფუნდამენტურია, იმედი, იმედი მომავლის, დამოუკიდებლობის, თავისუფალი ნებისა და იმედი ღმერთისადმი - ადამიანის ხსნისა და გადარჩენისათვის.

ანი ცხვედაძე, თეატრის კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

ღ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

